

ხანდაზმულებში მენჯის ღრუს ორგანოთა ფუნქციის მოშლის შემთხვევაში პაციენტის მოვლა

პროტოკოლი №10

მიზანი: ხანდაზმულებში მენჯის ღრუს ორგანოთა ფუნქციის მოშლასთან ასოცირებული დისკომფორტის მინიმუმამდე შემცირება და პაციენტის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

ამოცანები:

1. მენჯის ღრუს ორგანოთა ფუნქციის მოშლის შემთხვევაში პაციენტის ადეკვატური მოვლის უზრუნველყოფა;
2. პაციენტისა და/ან მისი მომვლელის კონსულტირება მენჯის ღრუს ორგანოთა ფუნქციის მოშლის შემთხვევაში პაციენტის მოვლის შესახებ.

ორგანიზაციული ასპექტები:

1. მენჯის ღრუს ორგანოთა ფუნქციების მოშლის შემთხვევაში დიაგნოსტიკურ ძიებასა და მკურნალობის სქემის შერჩევას ახორციელებს ოჯახის/უბნის ექიმი გაიდლაინების: „ხანდაზმულებში შარდის შეუკავებლობის შეფასება და მართვა“ და „ხანდაზმულებში უნებლივ დეფეკაციის შეფასება და მართვა“ შესაბამისად;
2. თუკი შეუკავებლობის გამომწვევი მიზების კორეგირება ვერ ხერხდება, მდგომარეობის მართვის უმთავრესი მიზანი შეუკავებლობასთან ასოცირებული უხერხულობის მინიმუმამდე შემცირებაა, რაც პაციენტის ადეკვატური მოვლით უნდა განხორციელდეს. ასეთ დროს პაციენტის მოვლის უმთავრესი ფუნქცია ზოგადი პრაქტიკის ექთანს ეკისრება;
3. შეუკავებლობის შემთხვევაში პაციენტის მოვლის გეგმის შემუშავებამდე, უბნის ექთანმა კარგად უნდა შეისწავლოს პაციენტის საცხოვრებელი პირობები, გაესაუბროს მომვლელს და შეაფასოს, რამდენადაა შესაძლებელი ამ გარემოში პაციენტზე ოპტიმალური მოვლის უზრუნველყოფა;
4. უბნის ექთნის ბინაზე ვიზიგის სიხშირე პაციენტებში შარდის ბუშტის მუდმივი კათეტერიზაციით განისაზღვრება ოჯახის/უბნის ექიმის კლინიკური გადაწყვეტილების საფუძველზე. სხვა პაციენტებში, შეუკავებლობის შედარებით სტაბილური ფორმით, უბნის ექთნის ვიზიგი უნდა შედგეს, სულ მცირე, ორ კვირაში ერთხელ;
5. რეტინული საექტონო ვიზიგის მიზანია:

- კონტროლი, რამდენად ადეკვატურად ხდება პაციენტის ჰიგიენის დაცვა;
- ნაწოლების განვითარების რისკის შეფასება;
- ნაწოლების გამოვლენის შემთხვევაში—მათი ხარისხის შეფასება და მკურნალობის გეგმის შემუშავება;
- ხელმისაწვდომია თუ არა პაციენტისათვის შარდისა და განავლის მიმღები საშუალებები, ხომ არ შეიძლება რაიმე წყაროს გამოძებნა, რაც პაციენტის დახმარების საშუალებას მოგვცემს (სოციალური დახმარების სამსახურები, საქველმოქმედო ორგანიზაციები);
- პაციენტის განწყობის შეფასება (მნიშვნელოვანია, ვინაიდან საკუთარი თავის პატივისცემისა და ღირსების დაკარგვის განცდა დეპრესიის აღმოცენებას ან გამწვავებას უწყობს ხელს);
- ადაპტირებულია თუ არა საცხოვრებელი გარემოს პაციენტის საჭიროებები შესაფერისად;
- მომვლელის კონსულტირება პაციენტის მოვლის თაობაზე.

პროცესი:

1. პრობლემის იდენტიფიცირებისთანავე აუცილებელია პაციენტის და/ან მისი მომვლელების ინფორმირება შეუკავებლობის გამომწვევი მიზებების, მისი კორექციის გზებისა და მოვლის წესების შესახებ.

2. ბოგად საექიმო პრაქტიკაში მდგომარეობის მართვის გეგმა ხანდაზმულ პაციენტთან და მისი ოჯახის წევრებთან ერთად უნდა შემუშავდეს.

მთავარია, გავითვალისწინოთ შემდეგი:

1. დავიცვათ პაციენტის ღირსება;
2. დავიცვათ პაციენტის კანი;
3. დავეხმაროთ მოხუცს და მის ახლობლებს ჰიგიენური პრობლემების იოლად მოწესრიგებაში.

ბოგადი პრაქტიკის ექთანმა უნდა მისცეს რჩევა მოხუცს და მის ახლობლებს კანის მოვლის, მისი დაცვის წესებისა და დამცავი საშუალებების შესახებ.

ამ დროს შეიძლება გამოვიყენოთ:

1. შარდის მიმღები, იმ პაციენტებისათვის, რომელთაც აღენიშნებათ მობილურობის შეზღუდვა;
2. ჰლასტიკური საფეხები აბსორბენტის შრით;
3. კათეტერიზაცია, იმ პაციენტებში, რომლებშიც უნებლიერი შარდვა გამოწვეულია განუკურნებელი მიზებით.

პაციენტის ახლობლებს სჭირდებათ რჩევა იმის შესახებ, თუ როგორ აიცილონ თავიდან დამის შარდის შეუკავებლობა.

1. მათ უნდა უთხრათ, რომ სითხის შემდევრვას ყოველთვის არა აქვს სასურველი შედეგი;
2. გადაწყვიგით, ხომ არ არის საჭირო მოხუცის სამინებელში დავტოვოთ შარდის მიმღები, მაშინაც კი, თუ მას დღისით დამოუკიდებლად შეუძლია ტუალეტში სიარული;
3. არის თუ არა ოთახში საკმარისი განათება იმისათვის, რომ მოხუცს არ გაუჭირდეს ადგომა და გადაადგილება?
4. რა მედიკამენტებს დებულობს მოხუცი პაციენტი?

უბნის ექთნის მონაწილეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ საკითხების დაზუსტებისა და მოწესრიგებისათვის.

შარდის შეუკავებლობის პრობლემა ხშირად დიდ ფსიქოლოგიურ ძვრებს იწვევს, როგორც პაციენტისათვის, ასევე მისი ახლობლებისათვის. ეს ხანდაზმული ასაკის ყველაზე საშიში და უხერხული მომენტია, რაც პაციენტის უიმედობასა და პატიას იწვევს. სამედიცინო პერსონალს ხშირად უხდება ამის შესახებ ახლობლების უქმაყოფილობისა და გაბრაზებული საუბარის მოსმენა, მაგრამ მას დიდი გულისხმიერება მართებს, რათა შესაფერისი ახსნა-განმარტებით რამდენადმე შეამსუბუქოს ამ პათოლოგიით გამოწვეული უხერხულობა, როგორც პაციენტისათვის, ასევე მისი ახლობლებისათვის.

გამოსავალი:

მნიშვნელოვანია შეფასდეს:

- შეუკავებლობის შემთხვევაში ბინაზე საექინო ვიბიფების რაოდენობა;
- პაციენტის მოვლის თაობაზე მომვლელის კონსულტირება;
- მოვლის შედეგად პაციენტის დისკომფორტის შემცირება და პაციენტის კმაყოფილება (შეფასდება გამოკითხვის საშუალებით);
- საექინო მომსახურებით პაციენტის მომვლელის კმაყოფილება (შეფასდება გამოკითხვის საშუალებით);
- შეუკავებლობის ფონზე არაადეკვატური მოვლის პირობებში აღმოცენებული გართულებების რიცხვი.